რევაზ თოფურია

თავისუფლების იდეოლოგია: ლიბერალიზმი

საქართველოს უნივერსიტეტის
გამომცემლობა
2016

რევაზ თოფურია
თავისუფლების იდეოლოგია: ლიბერალიზმი

სტილისტ-რედაქტორი **მანანა ბეზარაშვილი**
ყდის დიზაინერი **შალვა ლურსმანაშვილი**
დამკაბადონებელი **ნათია დვალიშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
მერაბ კოსტავას გამზირი 77ა, თბილისი
ელფოსტა: info@ug.edu.ge

ISBN 978-99940-50-29-1

The Universiy of Georgia Publishing House
www.ug.edu.ge

სარჩევი

წინათქმა.....5

რა არის იდეოლოგია.....6

იდეოლოგიის ისტორია.....10

მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა.....19

მარცხინია ვს მარჯვინია.....22

იდეოლოგიების განსხვავებული დაყოფა.....42

ლიბერალიზმი.....48

წარმოშობა და განვითარება.....48

თავისუფლება.....57

ინდივიდუალიზმი.....62

გონება..... 66

სამართლიანობა და თანასწორობა.....68

შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება.....71

ლიბერალური სახელმწიფო.....76

კონსტიტუციური მმართველობა.....79

დემოკრატია..... 81

ლიბერალიზმი:.....85

კლასიკური vs. თანამედროვე.....85

რას ნიშნავს იყო კლასიკური ლიბერალი?.....86

კლასიკური ლიბერალიზმი - ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია, სოციოლოგია და ფსიქოლოგია.....87

კლასიკური ლიბერალიზმის მთავარი იდეები.....99

მილტონ ფრიდმანი და ჩიკაგოს სკოლა.....116

საჯარო არჩევანის სკოლა.....126

ავსტრიული სკოლა.....131

გზა ბატონყმობისაკენ.....137

ბუნებრივი უფლებათა სკოლა.....143

ანარქო კაპიტალიზმი.....150

თანამედროვე ლიბერალიზმი.....154

ინდივიდუალობა..... 156

პოზიტიური თავისუფლება.....157
სოციალური ლიბერალიზმი.....163
მართული ეკონომიკა.....165
იდეოლოგიები ქართულ პოლიტიკაში.....168
რატომ შეიძლება მოგეწონოთ ლიბერტარიანული იდეები?.....177
ლიტერატურა.....221

წინათქმა

პოლიტიკური იდეოლოგიები საკმაოდ რთული და კომ-
პლექსური საგანია, რომელზე მუშაობა გამოცდილ მკვ-
ლევარებსაც კი უჭირთ, მაგრამ ის ამავდროულად არის
უმნიშვნელოვანესი მეცნიერება, რომელთანაც ჩვენ ყოველ-
დღიური შეხება გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თავად
ვცხოვრობთ პოლიტიკური იდეოლოგიების ჩარჩოებში.
ნებით თუ უნებლიეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში პოლი-
ტიკურად ვაზროვნებთ და ვიყენებთ არაერთ პოლიტიკურ
ტერმინსა თუ იდეას ჩვენი შეხედულებების გამოსახატად.
თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს საგანი ბევრისთვის სრული-
ად უცხოა, ეს წიგნი კი, მიზნად ისახავს მკითხველისთვის
ახალი ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებას პოლიტიკურ თუ
ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ვიმედოვნებ, რომ მისი წაკ-
ითხვის შემდეგ მკითხველებს განუვითარდებათ კრიტი-
კული აზროვნების უნარი, შეძლებენ პოლიტიკურ ცხოვრე-
ბაში მიმდინარე ფაქტების ანალიზს, ექნებათ მეტი ცოდნა
თავისუფლებაზე, ტოლერანტობაზე, სახელმწიფოს უფლე-
ბა-მოვალეობებზე, ნათლად გაარჩევენ მემარჯვენე და
მემარცხენე იდეებს. ასევე, მიიღებენ სიღრმისეულ ცოდნას
კონკრეტულად ლიბერალიზმზე, როგორც თავისუფალების
იდეოლოგიაზე. გაეცნობიან კლასიკურ და თანამედროვე
ლიბერალიზმს, მათ მიდგომებს და შეხედულებებს მთელ
რიგ საკითხებზე. მიღებული ცოდნით კი, მარტივად გამოი-
ტანენ დასკვნას, თუ რომელი პოლიტიკური იდეოლოგია
დგას უფრო ახლოს მათ მოსაზრებებთან.

რა არის იდეოლოგია

თავი 1

„იდეოლოგია სოციალურ მეცნიერებათა მთელ სისტემაში ყველაზე მოუხელთებელი ცნებაა“- დევიდ მაკელანი.

პოლიტიკური იდეოლოგიები წარმოადგენს საგანს, რომელზეც მკვლევარებიც კი ვერ ყალიბდებიან და ვერ გვთავაზობენ ზუსტ დეფინიციას. რატომ უნდა ვისწავლოთ ის ჩვენ? რა შეხება აქვს პოლიტიკურ იდეოლოგიებს ჩვენთან? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია...

ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში გარშემორტყმული ვართ იდეოლოგიის გამოხატულებებით. ჩვენი მშობლები ცდილობენ ჩვენს აზროვნებაზე ზეგავლენის მოხდენას, იგივეს აკეთებენ ჩვენი მეგობრები, მასწავლებლები, რელიგიური ლიდერები და პოლიტიკოსები. როცა ჩვენ ვკითხულობთ გაზეთს ან ჟურნალს, ვუსმენთ რადიოს, ვუყურებთ ტელევიზორს, თუ მივდივართ საყიდლებზე, ჩვენ შეგნებულად თუ შეუგნებლად ვიღებთ გარკვეული სახის მიკერძოებულ ინფორმაციას, ჩვენდა უნებურად ვექცევით იდეოლოგიების დიაპაზონში. სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიღება გვიყალიბებს შეხედულებებს თუ რა არის კარგი და რა ცუდი, რა ჭეშმარიტი და რა მცდარი. რაც უფრო ვიზრდებით, მით უფრო მეტ ინფორმაცის ვიღებთ, შესაბამისად მეტ არჩევანს ვაკეთებთ სხვადასხვა შეხედულებებს შორის. ინფორმაციის მიღების პარალელურად, ჩვენ თავადაც გავცემთ ინფორ-

მაციას, ყოველდღიურ ცხოვრებაში პოლიტიკურად ვაზროვნებთ და ვიყენებთ არაერთ პოლიტიკურ ტერმინსა თუ იდეას ჩვენი შეხედულებების გამოსახატად. ხშირად გვესმის და თავადაც ვამბობთ სხვადასხვა კონტექსტში ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „თავისუფლება“, „სამართლიანობა“, „თანასწორობა“ და ა.შ. შესაძლოა მშობელს კონსერვატორი ვუწოდოთ, იმიტომ რომ ის რაღაცის ნებას არ გვრთავს, ან სახლში 10 საათზე დაბრუნებას გვავალებს, ფიზიკის მასწავლებელი კი, შევამკოთ ტერმინით „კომუნისტი“ მისი ძველმოდური შეხედულებების გამო, მაგრამ ამ ყველაფერს გააზრებულად გავაკეთებთ? რას ნიშნავს კომუნისტი? ან რა არის თანასწორობა? ყველა ადამიანის თანაბარი უფლებები? თანაბარი სტატუსი? თანაბარი ხელფასი?

ფაქტია, რომ ხშირად ვიყენებთ ბევრ პოლიტიკურ ტერმინს ისე, რომ მათი რეალური აზრი არ გვესმის, სწორედ იდეოლოგია გვეხმარება მათ ახსნაში, იდეოლოგია გვაჩვენებს ვისთვის რა არის სწორი და რა - არა, რატომ მიიჩნევა ზოგი ადამიანი კონსერვატორად და ზოგი კომუნისტად, რას ნიშნავს თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა და ა.შ.

და მაინც, რა არის იდეოლოგია?

მკვლევარების აზრი იდეოლოგიის მნიშვნელობასა და არსზე დიდწილად განსხვავდება. როგორც უკვე აღვნიშნე, მას სოციალურ მეცნიერებებში ყველაზე მოუხერხებელ ცნებად, არსებითად სადაო საკითხად და ფუნდამენტური უთანხმოებების კონცეფციად მოიხსენიებენ. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები შემოგთავაზოთ პოლიტიკური იდეოლოგიის ჩემეული ახსნა და რამდენიმე მკვლევარის მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ დეფინიციასაც მოვიხმობ.

ტერმინი იდეოლოგია ბეძნული სიტყვებიდან „იდეა“ და „ლოგოს“ მომდინარეობს, პირველი იდეას, ცნებას ნიშნავს, მეორე - კი მოძღვრებას. ამრიგად, მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის მოძღვრება იდეის შესახებ, ერთგვარი მსოფლმხედველობრივი ჩარჩო, იდეათა და შეხედულებათა ორგანიზებული სისტემა. თუმცა ეს ძალიან არასრული განმარტებაა ამ რთული ცნებისა, ამიტომ დეფინიციის ძიება უნდა გავაგრძელოთ.

იდეოლოგია გვეხმარება იმ კომპლექსური სოციალური სამყაროს გაგებაში, რომელშიც ვცხოვრობთ, ის სამყაროს აღქმის და ახსნის პერსპექტივას გვთავაზობს. როგორ აკეთებს ამას?

იდეოლოგია გვაწვდის საზოგადოების აღწერას, ინტელექტუალურ სურათს, რომელიც გვიჩვენებს ჩვენს ადგილს სოციალურ რუკაზე. სოციალური რეალობის აღწერისას იდეოლოგიები გვთავაზობენ პოლიტიკური იდეების ნაკრებს, რომელიც აღწერს შესაძლო საუკეთესო სოციალურ ორგანიზმს. ამრიგად, რეალურ სურათთან ერთად იდეოლოგია გვიხატავს იდეალურ სურათსაც. ასევე გვაძლევს პროგრამას როგორ მივაღწიოთ ამ იდეალურ სამყაროს.

აქედან გამომდინარეობს ენდრიუ ჰეივუდის ერთ-ერთი საუკეთესო განმარტება:

„იდეოლოგია იდეათა მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია, რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხობას.

ამდენად, ყველა იდეოლოგია გვთავაზობს:

(ა) არსებული წყობის შეფასებას, როგორც წესი, „მსოფლმხედველობის“ სახით,

(ბ) სასურველი მომავლის მოდელს - „კარგი საზოგადოების“ ხედვას,

(გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება - როგორ მივიდეთ (ა)-დან (ბ)-მდე.

როგორც უკვე ვნახეთ, იდეოლოგია ერთგვარი ისტორიაა იმ სამყაროსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სამყარო ერთია, თუმცა იდეოლოგია და სურათი, რომელსაც ის გვიჩვენებს, საკმაოდ ბევრი. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანები სამყაროს ხედავენ არა ისეთს, როგორიც ის არის, არამედ ისეთს, როგორადაც ის წარმოუდგენიათ. ისინი სამყაროს ღრმად გამჯდარი რწმენის, აზრებისა და ვარაუდების ჩარჩოებიდან უმზერენ. როცა ჩვენ ვყვებით ისტორიას სამყაროს შესახებ, ვცდილობთ გადმოვცეთ ის ჩვენი სტრუქტურირებული გადმოსახედიდან, ჩვენი შეხედულებებიდან გამომდინარე და ასე მივაწოდოთ ის სხვას. შესაბამისად, ისტორიაც განსხვავდება, ის შეიძლება იყოს ცალსახა ტყუილი ან სრული ჭეშმარიტება, მაგრამ ადამიანს რომელიც მას გადმოგვცემს, ამ ისტორიის სჯერა, ადამიანი კი, ვინც ამ ისტორიას ისმენს ან კითხულობს, მის ჭეშმარიტებას საკუთარი გადმოსახედიდან გამომდინარე აფასებს,

თუ მასაც იგივე შეხედულებები აქვს, მიიღებს ამას ჭეშ-მარიტებად, თუ მისი რწმენათა სისტემა განსხვავდება - ამ ისტორიას სიცრუედ ჩათვლის. როგორც ენდრიუ ვინსენტმა თქვა: „იდეოლოგიას თანამგზავრის პოზიციიდან ვუჭვრეტთ და არა - ნეიტრალური დამკვირვებლისა“. სწორედ ამიტომ, დღეს გვხვდება უამრავი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგია, ისინი განსხვავებულ ღირე-ბულებებისა და რწმენის სისტემებს ასახავს. ყველა მათგანს აქვს ძირითადი პრინციპების ნაკრები, ზოგიერთი დროთა განმავლობაში იცვლება, ზოგი კი უცვლელი რჩება.

პოლიტიკური იდეოლოგიის არსის უკეთ შესასწავლად შეგვიძლია მის ისტორიას გადავავლოთ თვალი.

იდეოლოგიის ისტორია

იდეოლოოგიის იდეას საკმაოდ ხანმოკლე, დაახლოებით ორას წლიანი, მაგრამ ამავდროულად ძალიან რთული და ჩახლართული ისტორია აქვს.

იდეოლოგიის ცნება, ისევე როგორც თვითონ ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიებიც, საფრანგეთის რევოლუციის დროს გაჩნდა 1790-იან წლებში. ამ მხრივ ისტორია რამდენ-იმე ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

- 1790-იანი წლები და ტერმინის პირველად გამოჩენა
- 1840-იანი წლების იდეოლოგიის მარქსისტული გაგება
- 1950-იანი წლების „იდეოლოგიის დასასრულის“ ცნება.

ტერმინი „იდეოლოგია“ პირველად 1776-78 წლებში ანტუან დესტა დე ტრესიმ შემოიღო. მიუხედავად იმისა, რომ ტრესი ითვლება ამ ტერმინის შემქნელად, იდეოლოგიის მისეული გაგება დღევანდელისგან საკმაოდ განსხვავდე-